



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბიჭისი

ბიჭისი, სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის ტერიტორიულ ორგანოში (შიდა ქართლის რეგიონი), ლიხის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. შუქლელის (სურამულის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. გ. დ. 800 მ, ხაშურიდან 8 კმ, სურამიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 5 კმ. 268 მცხ. (2014).

სოფელი მოხსენიებული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს (XVIII ს.). XVII ს. საბუთის მიხედვით, ბ-ში ერეკლე I-მა იქსე რუსიშვილს და მის შვილებს მათივე ნაქონი ყმა-მამული უბოძა. 1865 ბ. თავისი 4 კომლი მოსახლით სურამის უბნის იტრიის სასოფლო თემში შედიოდა.

დ. სვანიძე

ჭ. გვასალია